



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000071563481421

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 13

07 / აპრილი / 2021 წ.

## განკარგულება


**ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოს შექმნასა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 106<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა თელავის, ლაგოდეხის, გურჯაანის, საგარეჯოს, ყვარელის, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებთან ერთად, დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტო (შემდგომში, სააგენტო), რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი იქნება შესაბამის მუნიციპალიტეტებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების - უპატრონო ცხოველების საკითხების გადაწყვეტა, აგრეთვე ადამიანისა და შინაური ცხოველების უსაფრთხო თანაარსებობისათვის მდგრადი გარემოს შექმნა და შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით წესდებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.
2. უზრუნველყოს უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამბადასმულია  
ელექტრონულად 

თამარ ყვინიშვილი

## ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. გურჯაანი

--- / --- / 2021

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი (შემდგომში მხარეები) ვაღიარებთ რა მუნიციპალიტეტთა შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას, როგორც ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისა და კარგი მმართველობის, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების ეფექტიანი განხორციელებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხარისხიანი სერვისების მიწოდების ინსტრუმენტს,

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ერთობლივი განხორციელების ორგანიზების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არაუგვიანეს \_\_\_ წლის \_\_\_ (თვე) ვუზრუნველვყოთ წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოს (შემდგომში სააგენტოს) დაფუძნება.
2. სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიზანი იქნება შესაბამის მუნიციპალიტეტებში კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების - უპატრონო ცხოველების საკითხების გადაწყვეტა, აგრეთვე ადამიანისა და შინაური ცხოველების უსაფრთხო თანაარსებობისათვის მდგრადი გარემოს შექმნა და შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით წესდებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.
3. მოწონებულ იქნას თანდართული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოს წესდების პროექტის ძირითადი დებულებები და პრინციპები.
4. მოწონებულ იქნას თანდართული საწევრო გადასახადის განაწილების წესის პროექტის ძირითადი დებულებები და პრინციპები.
5. გურჯაანის მუნიციპალიტეტმა, სააგენტოს დამფუძნებელი სხდომის გამართვამდე, უზრუნველყოს სააგენტოს დირექტორის კანდიდატურ(ებ)ის გამოვლენა და სააგენტოს დამფუძნებელ სხდომაზე კანდიდატ(ებ)ის წარდგენა.

დირექტორის კანდიდატურის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ მხარეები.

6. გურჯაანის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს სააგენტოს დამფუძნებელი სხდომის და სააგენტოს პირველი სხდომის ჩატარების ორგანიზება.

სახელი გვარი \_\_\_\_\_

ახმეტის მუნიციპალიტეტი მერი

სახელი გვარი \_\_\_\_\_

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი

სახელი გვარი \_\_\_\_\_

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

სახელი გვარი \_\_\_\_\_

თელავის მუნიციპალიტეტის მერი

სახელი გვარი \_\_\_\_\_

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი

სახელი გვარი \_\_\_\_\_

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი

სახელი გვარი \_\_\_\_\_

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი

სახელი გვარი \_\_\_\_\_

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი